

№ 8 (1306)


აპრილი

1969

სიქნაუნი

გამოცემის 46-ე წელი ფასი 20 კპ.

ქრონოლოგიური
სიქნაუნი



იმ დალოცვილმა ღმერთმა არაფერი სრულყოფილი არ გააჩინა. სულ ცოტა, ძალიან ცოტა კი იყო საჭირო, რომ ეს გვეყვანა სრულ პარმონიაში ყოფილიყო. ზოგიერთი ქალი ულამაზესი იქნებოდა. ერთი სანტიმეტრით ნაკლები ცხვირი რომ ჰქონდეს. რამხელა შვებას იგრძნობდნენ ცელქი ბავშვები, ღმერთს რომ ზოგი კაცისთვის ყურის გამონაზარდი არ დაეტოვებინა? მაგრამ ღმერთს გამოცდილება აკლდა. შექმნა სამყარო და თქვა: იცხოვრეთ აწი, როგორც გინდათ. ცხოვრობს ადამიანიც, როგორც უნდა და ღმერთის მიერ დაშვებული შეცდომების გამოსწორებას უნდება: იმოკლებს ცხვირს, იჭრის ბრმა ნაწლავს, იკეთებს ფრთებს, იღებავს თმებს...

ბოლოს ადამიანმაც დაიწყო ზოგი რამის შექმნა, მაგრამ, გამოუცდლობის გამო, მანაც შეცდომები დაუშვა. თუმცა ამ შეცდომების გასწორება მის ხელთაა, მაგრამ, ღმერთისა არ იყოს, მათი დანახვა და გასწორება ჭირის ღღესავით სძულს და შეგნებულად არ ასწორებს. მერედა, რამდენი უსიამოვნებაა ამის გამო! მაგალითად, რამდენად საინტერესო იქნებოდა ფეხბურთის თამაში და მისი ყურება, სტადიონს სულ ცოტა, ნახევარი მეტრით ნეტი სიგანე რომ ჰქონდეს. არის უსწრაფესი ტემპი, მშვენიერია კომბინაციები, მოთამაშეს ბურთი მიაქვს გვერდითი ხაზის გასწვრივ და გრძნობთ, რომ სწორედ ეს ნახევარი მეტრი არ ჰყოფნის: ბურთი აუტყმი გადადის. ეცემა ტემპი, ნერვიულობს მაყურებელი, სილამაზეს ჰკარგავს ფეხბურთი, რადგან ბურთს ხელით ისვრიან. სტადიონისთვის



ცოტა სიგანე რომ მიემატებინათ, თამაშიც დაახლოებით იმავე რაოდენობით იქნებოდა საინტერესო და ცოტა მეტიცაა მიუახლოვდებოდა ნამდვილ ფეხბურთს.

უნდა გაიზარდოს საჭიდაო ხალიჩის ზომებიც, რათა ზოგიერთ მოჭიდავეს ხალიჩიდან გაქცევის მადა დაეკარგოს. რა მოხდებოდა, მაგალითად, ჩემს კოლეგას მისმა დირექტორმა სამი მანეთით მეტი ხელფასი რომ დაუნიშნოს? მას ხომ ყოველი თვის ბოლოს სამი მანეთი აკლდება ხოლმე და ჩემგან სესხულობს?

რა ცოტას მიმატება ან გამოკლებაა საჭირო, რომ ყველაფერი წესრიგში გვიქონდეს!

შალვა ზოგოლაძე

დაუსრულებელი

კაცი, საცაა, ვებრდები,
ცოლი უკვეა ბებერი;
ვის არ ვეცით და ვეაჭეთ,
ვერ შევძლეთ შეუძლებელი...
სამი სტუდენტი ვაუი გვყავს,
სამივე „დაუსრულებელი“.

საქციელი აქვთ ისეთი,
ეჭვი შეგივთ წმინდანში,
თბილისში ისე დადიან,
ვითარცა ნიკორწმინდაში,
უნომრო „ნასკებს“ ითხოვენ:
„ფეხი არ ჩაგვდის წინდაში!“

„დაუსრულებლობა“ გვაწუხებს,
ვინ თქვა სუნამო უამბროდ?
სად ნახეს უწყლო წისქვილი?
რაა დუქანი უამბროდ?..
უფროსი მაინც დაასწრონ,
ამ უმცროსებსაც უამბობს.

თორემ არ არის არც ერთი
წიგნებზე ხელის მხლებელი,
არავინ სწავლობს დასწრებით,
რას გახდეს დაუსრულებელი?..
დარდისგან ლამის ლოგინად
ჩავარდეს ცოლი ბებერი.

ვერ ვაზიარე ვერაფრით
„დასწრებულს“ შვილი ვერც ერთი,
იმდენად გამოვსულელი,
იმდენად გამოვჩერჩეტლი,
ქრისტესთვის შესაწირავით
ვაპატიოსნე მეჩეთი.

მერე ეს ლექსი გავაბი,
საზანდარივით მოვმართე,
გამიგო ცოლმა ბებერმა
რა ქარაგმითაც მოვნათლე,
ვის აღარ მოგეხსენებათ,
როგორ ჩახრაყულს მომართმევს.

მიშველე, ვინ ხარ პატრონი,
ლამის გადვიქცე მათხოვრად,
ქალღმერთს არავინ დახედა,
ყური არავინ მათხოვა,
ამდენ თრევაში მომართვეს
სამსახურიდან დათხოვნა.

შაპრო ღვალაძე




ნ.ა. ჯ. ლოლუასი

უსიტყვოდ.

— დედა მინდა...
— მამა მინდა, შვილო, მარა სადაა?!



ნ.ს. ზ. ფორხიძისა



ნ.ს. ზ. ლომიძისა

— რას დასაბარებთ დღე კა? სვირს უკურნებ?
— სამედიცინოს ნაპრებს ვაღებ და ხალხს ვარჩებ.

გურგენა, მელოტი კაცი და სოფნი

გურგენამ სოფლიდან ცოცხები ჩამოიტანა გასაყვიდად. ბაზარი სავესე იყო ცოცხებით, მაგრამ იხტიბარი მაინც არ გაიჭიჭა, იჯდა და მოთმინებით ელოდა მუშტარს.

ბოლოს ერთი პორტფელიანი, მელოტი კაცი მოვიდა და ჰკითხა:

- რა ღირს?
- მანეთი, ბატონო!

მელოტს, ალბათ, ეძვირა და დაიჯდნა, შუბლზე გამოსული უშველებელი მეჭეჭი დაეკეცა, ჭორფლიან სახეზე ცხვირსახოცი მოისვა და გურგენას სამმანეთიანი გადაუგო.

- სამი, ბატონო?

— აარა, სსამი რა ჯჯანდაბად მმინდა, ეერთოიც ბბევრია! გურგენამ ცოცხი მისცა და ხურდის საძებნელად უბეში ჩაიყო ხელები. მელოტი კი ამასობაში წავიდა.

— მოქალაქე! მეგობარო! ამხანაგო! ჩვენი ძმა! ძმაკაც! — გამოეკიდა გურგენა.

ყველამ მოიხედა მელოტს კი არ მოუხედავს.

— პორტფელიანო!

სამმა პორტფელიანმა მოიხედა, მელოტმა — მაინც არა.

— ყაბალახი ან ქუდი მაინც უხუროს, პორტფელი ახლა ყველას უჭირავს ხელში, — გაიფიქრა გურგენამ.

— არა და, სხვის ფულს ხომ ვერ მიისაკუთრებდა პატიოსანი კაცი?

— ქაჩალო! მეჭეჭიანო! ჭორფლიანო, ბლუ! — მიაყოლა გამწარებულმა გურგენამ.

მელოტმა ახლაც არ მოიხედა.

— რას ილანძღები, მოქალაქე! — უთხრა მილიციელმა და სამი მანეთით დააჯარიმა.

ივერი ტაბიძე

რა ღირს ერთი კილო?..

ბაზარში წავედი.

— რა ღირს 1 კილო კიტრი?

— 10 მანეთი!

— 8 მანეთად არ მომცემ?

— 8 მანეთად 1 კილო ოხრახუში იყიდე, სიყვითლე მოგშორდება.

— მომეცი 6 მანეთად ერთი კილო ოხრახუში!

— 6 მანეთად ნიორი მოგივა, იყიდე, გრიპი არ შეგხვდება.

— 4 მანეთი მოგცე ნიორში, გინდა?

— 4 მანეთად ღორის ხორცი იყიდე და მაცივარში შეინახე.

— მომეცი 1 კილო ღორის ხორცი ორ მანეთად და,

თუ გინდა, ძვლებიც დაიწონე!

— ორ მანეთად 10 ცალი კვერცი წაუღე ცოლშვილს!

— თითო კვერცი 10 კაპიკად მომეცი, 20 ცალს ავიღებ.

— 10 კაპიკად ქაღალდის პარკი იყიდე!

დავფიქრდი, ვიყიდე ქაღალდის პარკი, ვაევისე ოხრახუშის თესლით და სახლში წამოვედი.

მეცა მაქვს მეოთხე სართულზე ლოჯია, დავთესე ოხრახუშს და, გამყიდველების ჯინაზე, ბაზარში არასოდეს წავალ.

გოდარძი ენუქიძე


თამაღის განსაჭირი

„მოკვდი, მტერო! იხარე, ჭერო!“ — ესა თქვა თამაღამ, მერე ჭერს ახედა: წვიმას დაეხატა


ვეება რუკა... თამაღა გაქვავდა, თამაღა გახევდა, შეეძლოს, წაიღებდა ამ სიტყვებს უკან.

გიორგი უმთაყვარი.

საქართველო
 საერთაშორისო
 უნივერსიტეტი
 ფაკულტეტი



„წუ დაგვიმტვრევთ ჭურჭელსა და სკამ-მაგიდებს, ასეთი საჭიროებისათვის უხვადაა შემოსავლელში ფირმა „ბიუღინაუმის“ მიერ დამზადებული ხელკეტები!“ — ასეთი განცხადებით მიმართა დუბლინის ერთ-ერთი ბარის პატრონმა თავის მოჩხუბარ კლიენტებს.



ნ.ბ. ზ. ლომიძისა

სან-ფრანსისკოს პოლიციამ დააპატიმრა 68 წლის ვინე კაუტსონი. ამ მოხუც მანდილოსანს, რომელსაც 7 შვილიშვილი ჰყავს, მიუღია მონაწილეობა... ბანკის გაძარცვაში.



ირლანდიის „პორტლანდ ივერის“ ფეხბურთელები თამაშობენ... პალსტუხებში, რადგან ეს მათ უანდრძა ერთმა გულშემატკივარმა, რომელმაც საკმაოდ დიდი თანხა დაუტოვა კლუბს.



პარლტონის (შეერთებული შტატები) ცირკში გამოაკრეს განცხადება: „დღეს ცირკში შესვლა უფასოა!“ ტრიბუნები ხალხით გაივსო. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ცირკის ადმინისტრაციამ გამოაკრა მეორე განცხადება: „წუ რავინ იფიქრებს იმას, რომ შეძლებს ცირკიდან გასვლას... სამი დოლარის გადახდის გარეშე“.



მთავარი რედაქტორი ნოდარ ღუმბაძე

სარედაქციო კოლეგია:
 ჯ. გოლჭვაძე (პ/მზ. მღივანი),
 ს. კლდიაშვილი,
 ნ. გალაგონია,
 ბ. ნიშნიანიძე,
 (მთავ. რედ. მთადგილე),
 ნ. ზველიძე,
 თ. ჭელიძე.

სატირისა და იუმორის შუბრული „ნიანგი“.

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42.
 Тбилиси, Сатирико-юмористический журнал «Нианги». ტელ. რედაქტორის 99-76-69, რედ. მოადგილის 93-49-32. საერთო განყოფილების 93-10-78.

საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობა. ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.

გადამცა ასაწივად 25/III-69.
 ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/IV-69 წ.
 ქალაქის ზომა 70x108/8.
 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,
 პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 1,4.
 საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა,
 თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ГИПОГРАФИЯ ИЗД-ВА ЦК КП ГРУЗИИ ТБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИНА № 14

შპპ. № 941.
 ტე № 02120.
 ბირაჟი 107.600.



20
1969
საქართველოს
საბჭოთავო
კულტურის
მემორიალი
№ 307
მემორიალი
1969
ქალაქი
თბილისი
*
საბჭოთავო
კულტურის
მემორიალი
76137

